№ 36

7 სექტემბერი

# ივერია

ფასი ერთი შაური

1909 წ.

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. Туманову.

გაზეთი „ივერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

წლის ფასი 3 მან. წლის ნახევრამდე 2 მან.

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. თუმანიშვილი.

## ქართული თეატრი

შაბათს, 12 სექტემბერს 1909 წ.

ქართულ დრამატიულ არტისტების და ხუთი დებიუტანტის მონაწილეობით: წარმოდგენილი იქნება:

## ღალატი

დრამა 5 მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, თარგ. გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, კარგარეთელი, ჩირგაძე, ნებიერიძე და სხ. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გამყრელიძე, იევანიძე, გვარაძე, იმედაშვილი-ხაშმელი, ქავთარაძე, შარაშიძე, ფურცხვანიძე, ბახტაძე, გრიშაშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 ნახევ. საათ. რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

## ბაღი რესტორანი „ЮЖАНЕ“ (სამხრეთელები)

დვორცოვის ქუჩა, თავად-აზნაურობის თეატრთან ბაღში. ყოველ დღე დაუკრავს დღისით 2—4 საათამდის და საღამოს 9—2 საათამდის ტფილისის სახაზინო თეატრის საოპერო ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. სადილი ორი ბლუდიდან ღირება 60 კაპ. 3-დან 80 კ. 4-დან—1 მან. აქვე არის საჭმელების სია და პრეისკურანტი ყველანაირის საგნებისა.

ფასები ხელმისაწდომია. შესვლა უფასოა.



ტფილისის საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის

ფორტეპიანოს ამწყობი

## გ. ლ. ხარიშჩაროვი

ვორონცოვის ძეგლთან, რაზიეზჟაია ქუჩა № 11.

მიიღება შესაკეთებლად ყოველგვარი როიალი და პიანინო პასუხისგებლობით იყიდება როიალიდან და პიანინოდან მტვერის გამოსაბერავი. ფასი 3 მანეთი.

## Харковскіе высшіе женскіе курсы

(Вознесенская ул. № 3).

Пріемъ прошеній на 1, 2 и 3 к. к. **Историко-Филологическаго** и **Юридическаго** факультетовъ (съ 3-годичнымъ курсомъ, какъ въ Импер. Моск. Лицеѣ) производится въ канцеляріи этихъ факультетовъ (Мало Гончарская, 2).

Пріемъ прошеніи на 1, 2 и 3 к. к. **Медицинскаго Факультета** (Клиники III курса оборудованы) производится въ Канцеляріи Медицинскаго факультета (Вознесенская, № 3). Прошенія подаются на имя Завѣдующей Курсами и адресуются въ Канцелярію избраннаго факультета.

При прошеній поступающими на I курсъ представл. подлин. док.: ат. 7 кл. гимн., инст., епархіальн. или равныхъ имъ по пограм. зав., метр. свид. о рожд. (и брачное для замужнихъ), св. о политическ. благонад., 2 фот. и 1/2 год. плата (на медиц. фак. 200 р. въ годъ и на юридеч. и ист.-фил.—125 р. нъ годъ), и почт. марки для отвѣта, иначе прошенія не разсматриваются. Для поступленія на старшіе Курсы кромѣ вышеупомянутыхъ докумен. подается еще удостовѣреніе о зачетѣ семестровъ соoовѣтств. уч. зав.

На курсахъ преподаются теоретич. и практич. (для слушательн. всѣхъ фак.) латинскій яз. и новые языки: франц., англ. и нѣмецк,

**Лицамъ Іудейскаго вѣроисповѣданія курсы права жительства не даютъ.**

## კაფე პარიჟი!!

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის გზოში

(Дворцовая ул,)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პიროჟოკები, ბუტერბროტები (15 კაპ. და მეტიც)

ხაჭაპური

ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი

სასმელი წყლები

ლუდი, სადილი

ფასები ხელმისაწდომია

სისუფთავე და კარგი სამსახური

აკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

## დამირავებას და გადამირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8 1/2—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.



Заводск марка

Кавказскій натуральный

Коньякъ

Д. З. Сараджевъ

тифлисъ

О.С. (Очень Старый.)

№ 25

ქართული ხალხური სიმღერები და

## ლექსები

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი ი. კარგარეთელის მიერ. წიგნის ფ. 50 კ.

ახალი ამბები და დეპეშები იხილეთ მეოთხე გვერდზე.

**ტფილისი, 7 სექტემბერი.**

როდესაც ადამიანს საკამათოდ საბუთი აკლდება ან არ აქვს, წილადობილას იწყებს და საბუთების მაგიერად სხვა და სხვა ლათაიებს აწვდის მსმენელს ან მკითხველს.

ეს დაემართა „მომავალს“, როდესაც ჩვენ ეროვნულ საკითხის პრაქტიკულ მხარეს მივაქციეთ ყურადღება, ესევე დაემართა „დროებასაც“ ამავე საკითხში. სანამ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა თეორიულ სჯა ბაასის ფარგალში რჩება, „მომავალი“ და „დროება“ ერთმანეთის მოწინაამდეგენი არიან, ერთმანეთში ვერ შეთანხმდებიან, მაგრამ ამავე საკითხის პრაქტიკულ განხორციელებაში კი ისინი „ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან მიიმღერიან“.

ეს მათი ერთობა საკვირველი არ არის, გარეგანი განსხვავება მათის პოლიტიკურის პროგრამისა ვერ მოსპობს მათ სოციალურ შეხედულებათა ძირითად იგივეობას, ეს იგივეობა მათ ერთმანეთში აკავშირებს და აიძულებს ერთად გამოილაშქრონ ხოლმე იმათ წინააღმდეგ, ვინც ბურჟუაზიულ მსოფლ-მხედველობას არ შორდება და სოციალისტობის მორევში მონათლულ მუშებისაგან ან გლეხებისგან ქვეყნის ხსნას არ ელის.

ჩვენ ერთ ერთ წინანდელ წერილში აღვნიშნეთ, რომ ქართველობას როგორც ეროვნებას მრავალი მტერი ჰყავს და რომ სხვათა შორის მისი ასეთი მტერია რუსობა, როგორც ეროვნება, რომ ეროვნების შესარჩენად ქართველებმა ბრძოლა უნდა გაუწიოს მთავრობას კი არა, რომელიც შეიძლება ამა თუ იმ ეროვნების ეროვნულ პოლიტიკას არც კი აწარმოებდეს, არამედ თვით რუსობას, როგორც ეროვნებას. ეს ბრძოლა ჩვენის შეხედულებით მშვიდობიან ქიშპობის ფ რგალს არ უნდა სცილდებოდეს, ძალ-მომრეობა უნდა იყოს მოშორებული. ამ ბრძოლაში ქართველებისთვის სულ ერთი უნდა იყოს, ვინა ჰყავს მოწინააღმდეგეთ, სხვა ეროვნების კაპიტალისტი, სხვა ეროვნების ვაჭარი, თუ გლეხი ან მუშა, რადგანაც ეს კაპიტალისტიც, ეს ვაჭარიც, ეს გლეხიც და ეს მუშაც თანასწორად ეწინააღმდეგებიან ქართველ ერის ზრდას და ჩვენში სხვა ეროვნების გაბატონებას ცდილობენ. თვით უკიდურესი მემარცხენე პარტიებიც კი ვერ ახერხებენ,—ჩვენში ეროვნულ თანასწორობის პრინციპი დაიცვან, ქართველებისთვის მათ ის უფლებები არ ემეტებათ, რომელიც რუსობას რუსეთში აქვს მინიჭებული.

ეს უკიდურესი პარტიები მხოლოდ სარგებლობენ ქართველების თანაშრომლობით იმისთვის, რომ საკუთარი საქმე მოიწყონ და რუსეთში რუსობის უპირატესობა შემდეგშიაც უზრუნველჰყონ, შეუძლებლად გახადონ სრული ეროვნული თანასწორობა.

სოც.-დემოკრატები აცხადებენ სრული ბედნიერება დამყარდება, როდესაც დემოკრატიულ რესპუბლიკას მოვაწყობთო. ამ რესპუბლიკაში არ იქმნება ერთმანეთის პოლიტიკური დაჩაგვრა, ყველა ეროვნებას თანასწორი უფლება ექმნება ყველას შეძლება,—თავისი საქმე თავის ძალღონით და თავის ნებაზე მოაწყოსო.

ამნაირად ეროვნულ ბრძოლის მოსასპობად მათ საკმარისად მიაჩნიათ სახელმწიფოს არსებულ წყობილების შეცვლა.

ფედერალისტებიც ასევე სჯიან, მხოლოდ ცენტრალისტურ სახელმწიფოს მაგიერად საჭირო ჰგონიათ ფედერალისტურ სახელმწიფოს შექმნა, ისეთი სახელმწიფოსი, რომელშიაც ყოველ ეროვნებას შინაურ საქმეებს მოწყობაში სრული თანასწორობა ექმნებათ,—ეს თავისუფალი ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულები შეადგენენ ერთ კავშირს, ფედერაციას,—ეს კავშირი, საერთო ფედერატიული სახელმწიფო საერთო საქმეებსაც გაუძღვება, კავშირის მშვიდობიანობას დაიცავს, მის გარეშე პოლიტიკას იცისრებს.

აქაც საკმარისად მიჩნეულია სახელმწიფოს არსებულ წყობილების შეცვლა, ფედერალისტებსაც ჰგონიათ, რომ საკმარისია ახალი სახელმწიფო წესწყობილება და ეროვნული ბრძოლა თავის თავად მიყუჩდება და მინელდება.

ეს შეცდომაა,—ეროვნულ ბრძოლას არც ისეთი მჭიდრო კავშირი აქვს სახელმწიფოს წყობილებასთან, როგორც სოც.-დემოკრატებს ან ფედერალისტებს ჰგონიათ. შეიძლება, რასაკვირველია, სახელმწიფოში მთავრობა მხოლოდ გაბატონებულ ეროვნების ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებდეს და სჩაგრავდეს ყველა სხვა ეროვნებას, ხშირად ეს ასედაც ხდება ხოლმე, მაგრამ ეს აუცილებელი შედეგი როდია არსებულ სახელმწიფო წყობილებისა. პირიქით ეს წყობილება შესაძლოთ ხდის ისეთ შემთხვევასაც, როდესაც მთავრობა ერთ რომელსამე მცირე ეროვნებას განსაკუთრებულ მოწყალების თვალით უყურებს და მას სახელმწიფოში ყოველგვარ უპირატესობას ანიჭებს. თვით რუსეთში მაგ. მთავრობა ერთნაირის თვალით არ უყურებს პოლონელებს და გერმანელებს, ებრაელებს და მაჰმადიანებს, ქართველებს, სომხებს და ყარაიმებს, თუმცა პოლონელებიც, გერმანელებიც, ებრაელებიც, მაჰმადიანებიც, ქართველებიც, სომხებიც და ყარაიმებიც სახელმწიფოში გაბატონებულ ერებად არ ჩაითვლებიან და არც ერთს მათგანს, როგორც ეროვნებას, სახელმწიფოში მთავრობაზე არავითარი გავლენა არა აქვს.

ეროვნული ბრძოლა სახელმწიფოს გარედაც ხდება, სხვა და სხვა სახელმწიფოში მცხოვრები სხ. და სხ. ეროვნებაც ერთმანეთს ეროვნულად ებრძვის, ჩინელებს მაგ. ამერიკელები ებრძვიან და ამერიკაში მათ სამუშაოდ შესვლასაც უკრძალავენ. ეროვნულად ებრძვიან ერთმანეთს საფრანგეთის ხალხი და გერმანელები, ებრძვიან შვეიცარიელები იტალიელებს, ყოველგან, სადაც სხვა და სხვა ერი ერთმანეთს ხვდება, მათში ბუნებრივის აუცილებლობით იწყება ეროვნული ქიშპობა, ეროვნული ბრძოლა.

„მომავალი“ სცდება, რაკი ამბობს, რუსობა რა შუაშია, როდესაც ქართველებს რუსის მთავრობა ავიწროვებსო, სცდება „დროებაც“, ამ აზრს რომ ეთანხმება. რუსის მთავრობა ქართველებს, ან სხვა რომელიმე ეროვნებას თუ ავიწროვებს, ამას სჩადის ხოლმე იმისთვის კი არა, რომ ამით გააძლიეროს რუსეთი, როგორც ერთი სახელმწიფო, არამედ იმისთვის, რომ ამით გააძლიეროს რუსობა, როგორც სახელმწიფოში უფრო ძლიერი ეროვნება. მთავრობის ასეთ მოქმედებით სარგებლობს რუსობა, როგორც ეროვნება, სარგებლობს და ამ სარგებლობაზე უარს არ აცხადებს და ამიტომ მთავრობის ასეთი მოქმედება ეროვნულ-რუსული არის, მის ასეთ მოქმედებაში ზნეობრივი პასუხის გება უნდა იკისროს რუსობამ, იმ ეროვნებამ, რომელიც მთავრობის ამ მოქმედებით სარგებლობს.

დიდი შეცდომა და ხალხისათვის მეტად მავნებელი შეცდომა არის, ყველაფერში ბრალი მხოლოდ მთავრობას თუ დავაკისრეთ და ხალხი, საზოგადოება კი ყოველივე პასუხისმგებლობისაგან განვათავისუფლეთ. ამ პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი არ უნდა იყოს რუსობა, როგორც ეროვნება..

„დროება“ გვაბრალებს აზრების წინააღმდეგობას და მას იმითი ხსნის, ვითომ ჩვენ განსაზღვრული არ გვქონდეს „რუსობა“, როგორც ეროვნება და „რუსეთი“ როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზმი. „დროებას“ ჰგონია, რომ ამ ორ ცნების ერთმანეთში გარევა ძნელია. რუსობა როგორც ეროვნება, ყოველ სხვა ეროვნების მოწინააღმდეგეა, ისე, როგორც სხვა ეროვნებათა წინააღმდეგია ყოველი ერიც, საკუთარ ეროვნულ სიცოცხლესი მქონე. როდესაც ორი სხვა და სხვა ერი ერთმანეთს ხვდება მათში აუცილებელია ქიშპობა და ბრძოლა. აუცილებელია იგი რუსეთშიაც, სადაც მრავალი სხვა და სხვა ერი ცხოვრობს. ეს ბრძოლა სამარცხვინო რამ არ არის, არ ამტკიცებს ამა თუ იმ ერის სიავეს, იგი ბუნებრივია, ისეთივე ბუნებრივი, როგორც ბრძოლა არსებობისთვის... არ არის ბუნებრივი და გასაკიცხია მხოლოდ ბრძოლის ზოგიერთი საშუალება, ძალმომრეობა, სხვისი ტანჯვა და წვალება... ეროვნულ ბრძოლას ვერ მოსპობს ვერც საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღდგენა, ვერც სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი გარანტიები, როგორც ეს ჰგონია „დროებას“, რომელიც ამაში ირლანდიას, ინდოეთს, არაბეთს, პოლონეთს, ჩეხიას და სხვა ერებსაც იმოწმებს. სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღდგენა, სახელმწიფოებრივი გარანტიები, საჭირო მხოლოდ იმისთვის, რომ ეროვნულ ბრძოლას ძალმომრეობის ხასიათი მოესპოს რომ ეს ბრძოლა ბუნებრივ ეროვნულ ქიშპობის კალაპოტში ჩაიდეს. ეროვნულ ბრძოლას თვით ფედერატიულად მოწყობილი სახელმწიფოც ვერ მოსპობს, როგორც ვერ მოსპობს მას ყველა ერის ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გახდომაც. ამ ბრძოლის მოსპობას ჩვენ ვერც ერთ ეროვნებას ვერ მოვსთხოვთ.

სულ სხვაა რუსეთი, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზმი. დღეს დღეობით რუსეთი ხშირად რუსობის სახელმწიფოს სახით მოქმედობს, რაკი რუსობას მრავალ ისეთ უპირატესობას ანიჭებს, რომელიც არა აქვს ამავე სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა ერებს. ეს უპირატესობის მინიჭება ჩვენ პოლიტიკურ შეცდომად მიგვაჩნია, რადგანაც მთავრობა უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს გაძლიერებას და არა ამა თუ იმ ერის გაძლიერებას. სახელმწიფოს გაძლიერებისთვის კი ჩვენ აუცილებლად საჭირო გვგონია სახელმწიფოში ეროვნული თანასწორობა, ყოველივე ეროვნულ უპირატესობის მოსპობა და მთავრობის ყველა ერთა თანასწორ და საერთო წარმომადგენლად გახდომა.

ჩვენის აზრით ქართველი ისევე უნდა იყოს დაინტერესებული სახელმწიფოს ზრდასა და გაძლიერებაში, როგორც რუსი ან სხვა რომელიმე ეროვნების წარმომადგენელი, ეს ზრდა და ეს გაძლიერება ქართველისთვის ისეთივე სასარგებლოდ უნდა დარჩეს, როგორც თვით რუსობისათვის, ეს კი შესაძლებელი იქმნება, როდესაც რუსეთში სახელმწიფოებრივი წყობილება შეიცვლება ისე, რომ ეროვნულმა ბრძოლამ ძალმომრეობის სახე დაჰკარგოს.

მაგრამ მანამდისინაც ქართველებისთვის მაინც სასურველი უნდა იყოს რუსეთში მართვა-გამგეობის საქმის უკეთესად მოწყობა. უკეთესად მოწყობილ რუსეთშიაც მთავრობამ შეიძლება ისევ რუსობის ეროვნული პოლიტიკა აწარმოვოს და ამით არა რუსები მეორე ხარისხოვან მოქალაქეებად დასტოვოს, მაგრამ მაინც მდიდარ და ძლიერ სახელმწიფოში მეორე ხარისხოვანი მოქალაქეობა მაინც სჯობია სუსტ და უვიც სახელმწიფოში მეორე ხარისხოვან მოქალაქედ დარჩენას. ამიტომ ჩვენ სულით და გულით მონატრული უნდა ვიყოთ, რომ რუსეთში და ჩვენშიაც ხელი შევუწყოთ სახელმწიფო მოხელეებს ყველა იმ საქმეში, რომელიც კეთილი მიზნისაკენ მიმართულია და ეს ხელის შეწყობა სათაკილოდ არ უნდა ჩავითვალოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს თუ ის პირი ადმინისტრაციაში მსახურობს...

ამას წინეთ მაგ. ჩვენ გვინდოდა ხელი შეგვეწყო ქუთაისის ღენ.-ღუბერნატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისათვის ზესტაფონში ადმინისტრაციის განწმენდაში და საზოგადოებასაც ვიწვევდით ღენ.-ღუბერნატორისათვის ამ საქმეში სიმართლის გამოაშკარავებით ხელი შეეწყოთ. ეს მიმართვა ჩვენმა „ხალხის მოჭირისუფლე“ გაზეთებმა „პოლიციელების ხელის ლოკვად“ მიიჩნიეს და ამ სახელით მონათლეს...

ჩვენში იმდენათ განუვითარებელი რჩება ჯერ-ჯერობით პოლიტიკური აზროვნება, რომ თვით გაზეთების მეთაურებსაც ვერ გაუგიათ, როგორ შეუძლია „ოპოზიციონერს“ მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად მოქმედება რომელიმე საქმეში, ეს საქმე ძალიან სასიკეთოც რომ იყოს ხალხისთვის. გაზეთების რედაქციები, პოლიტიკურ პარტიების საუკეთესო წარმომადგენლები გაურბიან მთავრობის წარმომადგენლებთან დაახლოვებას, ამითი ხშირად გაურბიან საქმეს, შეუძლებლად ხდიან ხშირად ადმინისტრაციისაგან ხალხისთვის სასიკეთო რისიმე გაკეთებას. სიკეთე მათ მხოლოდ „რევოლუციაში“ ჰგონიათ, სიკეთის მოპოვება მხოლოდ „რევოლუციით“ სწადიათ,—მშვიდობიანობის გზით, ნელნელა, შეუმჩნევლად საერო საქმის გაკეთება მათ არც ეხალისებათ, ვერც წარმოუდგენიათ. ასეთი გზა მათის აზრით უპრინციპობაა, იდეალების ღალატია, ადმინისტრაციის „ხელების ლოკვაა“... ამ უპრინციპობის, ღალატის, და „ხელების ლოკვის“ შიშით ისინი უმოქმედობაში ვარდებიან თვითონ და ხალხსაც უმოქმედობას აჩვევენ. ეს უმოქმედობა ღუპავს ხალხს, ეს უმოქმედობა მატლივით შიგნიდან გულს უღრღნის ქართველ ერს და მას სამარეს უმზადებს...

„დროებას“ უკვირს, რა ჯადოსნური ძალებით უნდა „ივერიას“, რომ ქართველობამ მიიღოს ყველა ის სიკეთე, რომელიც რუსობას აქვს მინიჭებული სახელმწიფოში, ე. ი. საკუთარი სკოლა, სასამართლო და ხაზინა?

ამ სიკეთის მისაღწევად ჯადოსნური ძალები არ არის საჭირო და ყველა ამ სიკეთის მიღწევა არც ისე ძნელია, როგორც „დროებელებს“ ჰგონიათ. ამ ძალებს ჩვენ შემდეგში აღვნიშნავთ.

ახლა გვინდა მხოლოდ მკითხველების ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ პარტიულ პროგრამების მაღალ ღარდებში ფრიალით არ შეიძლება დღიურ ვარამის მოვლა, რომ დღიურ ვარამს სულ სხვა მოვლა და სხვა წამალი სჭირდება, ვიდრე ის, რასაც რუსეთში მომქმედი პოლიტიკური პარტიები და რუსეთში მომქმედ პოლიტიკურ პარტიების გავლენის ქვეშ მყოფი ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციები გვირჩევენ ხოლმე. სამოქმედო გზა და ბრძოლის საშუალება უნდა იყოს შემუშავებული ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით და რაკი ეს საჭიროება ყველგან სხვა და სხვა არის, რაკი ყოველი ერი სხვა და სხვა პირობებში სცხოვრობს, ამიტომ სამოქმედო გეგმაც ყველას თავისებური უნდა ჰქონდეს.

თავისებური უნდა იყოს ქართველების სამოქმედო გეგმა და სამოქმედო ახლობელი იდეალებიც.

კ. თუმანიშვილი

# მამა ვოსტორგოვი

მამა ვოსტორგოვის ციმბირში საქმეზე გაგზავნის შესახებ სინოდში დიდი მითქმა-მოთქმა იყო. ზოგიერთმა სინოდის წევრმა წინდაწინვე იცოდა, რომ მამა ვოსტორგოვი სამრევლო შკოლების რევიზიას არ დასჯერდება და პოლიტიკურ მორევში შესცურავს და ამიტომ მაშინვე მისი გაგზავნის გამო პროტესტის გამოსაცხადებლად მათ თავი დაანებეს სინოდის კრებას.

მათი მოლოდინი გამართლდა.

როგორც ახლა გამოირკვა მამა ვოსტორგოვი ციმბირში ნამდვილად „მიხეილ არხანგელის“ მემარჯვენე პოლიტიკურ ორგანიზაციის მისსიონერობას ეწეოდა და ყველგან ამ ორგანიზაციის განყოფილებებს აწყობდა. ყოველგან ეს ახლად მოვლენილი პროპაგანდისტი თავის „რეჩებს“ ამბობდა, კიცხავდა ინტელიგენციას, არა რუს ერებს და რუსეთის „შინაურ მტრებს“ განადგურებას უქადიდა.

საინტერესო ის არის, რომ ყოველგან მამა ვოსტორგოვი სხვათა შორის ცხარედ კიცხავდა სინოდს მის განკარგულებისათვის, რომლის ძალითაც სამღვდელოებას ერთმევათ უფლება პოლიტიკაში რამე მონაწილეობა მიიღონ. პირიქით სამღვდელოებას პოლიტიკურ ბრძოლისთვის აშკარად იწვევდა.

მამა ვოსტორგოვის პროპაგანდისტობაზე ახლა საინტერესო მასალები მივიდა პეტერბურგში და ამ მასალების მიხედვით მალე სინოდში მამა ვოსტორგოვის შესახებ ლაპარაკის დაწყებას აპირებენ. უნდათ გამოარკვიონ რამდენათ კანონიერია მამა ვოსტორგოვის პოლიტიკური პროპაგანდისტობა.

ივლისის რიცხვებში მაგ. ბლაგოვეშჩენსკში „მიხეილ არხანგელის“ განყოფილება დაარსდა. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს, რასაკვირველია, თვით „რევიზორ-პროპაგანდისტი“, რომელმაც ეს განყოფილება დაარსებინა.

— დიდის სიამოვნებით ვიღებ ამ თანამდებობასო,—სთქვა ამ „რევიზორმა“. მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა მემარჯვენე ორგანიზაციებზე. ამ ორგანიზაციებთან დაკავშირებულია ჩემი სახელი იქ, მოსკოვში. პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე რომ გამოვედი, მოსკოვში აჯანყება იყო. სიკვდილს ემუქრებოდენ ყველას, ვინც კრებაზე მოსვლას გაბედავდა. მე ჩემ თავს ვუყურებდი ისე, თითქო მღვდელი ვყოფილიყავ, ეკლესიის მიერ გაგზავნილი პოლიტიკურ ორგანიზაციებში სამსახუროდ.

— მიიღონ თუ არა მღვდლებმა მონაწილეობა პოლიტიკაში? რასაკვირველია უნდა მიიღონ. ზოგიერთები იტყვიან განზე გადგომა სჯობიაო. იტყვიან, ზოგიერთი მღვდელი, მაგ. მამა იოანე კრონშტადტელი პოლიტიკაში არ ერევიანო. მაგრამ ეს შეცდომაა. ნამდვილად ვიცი, რომ მამა კრონშტადტელი რუსთა კავშირის წევრად ითვლებოდაო. მღვდელი, რომელიც სახელმწიფოსა და მთავრობას იცავს ეკლესიაში, ვალდებულია ამავე გზას დაადგეს ეკლესიის გარეთაც. შემცდარი არიან ის სასულიერო პირები, რომელნიც ფიქრობენ, ბრძოლა ჩვენი საქმე არ არისო. „მიხეილ მთავარანგელოზი“, რომლის სახელითაც ვაარსებთ დღეს განყოფილებას, ვეშაპს ებრძოდა. რაო რომ სინოდი გვეუბნება, სამღვდელოება პოლიტიკაში ნუ გაერევაო, ჩვენ, მღვდლები ამაზე ვუპასუხებთ სინოდს: არა, ჩვენ მემარჯვენე ორგანიზაციების წევრები ვართ და ამ ორგანიზაციებთან ერთად ბრძოლაზე ხელს ვერ ავიღებთო.

ტომსკში მამა ვოსტორგოვმა ამავე ორგანიზაციის განყოფილება დაარსა. პირველ კრებაზე მან სხვათა შორის სთქვა.

—აი ორი მოპირდაპირე ბანაკი. საშუალო გზა არ არის და არც შეიძლება, რადგანაც კადეტებისგან ჩამოშორებული ოქტომბრისტები ნამდვილად მეორე ხარისხის კადეტები არიან. უპარტიობა კი მხოლოდ თვალთ-მაქცობა და ხალხის მოტყუილებაა.

რას ან ვის ემსახურებიან ეს მეორე ხარისხის კადეტები? რა არის მათში რუსული და ეროვნული? უნდათ მამულიშვილების სახე მიიღონ და სათათბიროს საპასუხო სიტყვიდან კი სიტყვა „თვითპყრობელი“ გამოტოვეს. მე თვითონ—მამა ვოსტორგოვი—მონაწილეობას ვიღებდი იმ კრებაზე, სადაც ამ საპასუხო სიტყვას არჩევდენ. იცით, რას ამბობდენ ეს მეორე ხარისხის კადეტები—ოქტომბრისტები? სიტყვა „თვითპყრობელი“ დავტოვოთ მხოლოდ ალბომის ყდაზე, რომელშიაც საპასუხო სიტყვა იქნება შენახულიო!..

არა, საყვარელო მამანო—დაასრულა თავისი სიტყვა მამა ვოსტორგოვმა—ხელი ხელ ჩაკიდებული იარეთ იმ ორგანიზაციასთან, რომლის განყოფილება ეხლა დაარსდა, ებრძოლეთ მედგრათ რუსეთის ყველა მტერს და სხვა და სხვა...

ასეთივე სიტყვები უთქვამს მამა ვოსტორგოვს სხვა ქალაქებშიაც; ყველგან იგი პოლიტიკურ პროპაგანდისტად დადიოდა, ამ პროპაგანდისტობაში სინოდის ფულს იღებდა...

ვინც ჩვენში მამა ვოსტორგოვს იცნობდა, მას ასეთ პროპაგანდისტობას არ გააკვირვებს, რადგანაც ეს მღვდელი მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ რუსეთი „ჭეშმარიტ რუსული“ სახელმწიფო გახადოს, მოსპოს ყველა არა რუსი ეროვნება, მოსპოს ყოველი თავისუფლება, ხალხი უგნურ ბრბოდ დასტოვოს და ამ საქმით კი თვითონ გაბატონდეს და გაძლიერდეს.

ს.—კ.

# მოწოდება გაზეთებისადმი

ვთხოვთ ყველა გაზეთებს—მიჰხედოთ ღმერთს, თუ გრწამსთ იგი და ყური მოგვაქციოთ დაჩაგრულთ და გადასახადით დაბეგრულს დ. ყვირილის ვაჭრებსა და მის გარშემო მცხოვრებთა. გაგვირისხდა ღმერთი რაღაცა უბედურებისათვის და მოგვევლინა ისეთი ბატონ-პატრონები რომელთა მზგავსი არც ერთ ხალხს არ მოვლინებია. რაღაცა უბედურ დღეს 1906 წლის დასაწყისში აქ მოვიდენ დამსჯელი რაზმები და სამი დღე დასწვეს რაც რამ გაგვაჩნდა. ბოლოს გამოგვიცხადეს, რომ დარაჯები დაიყენეთ, ისინა გიცდებენ ყურს და თქვენის ხარჯით შეინახეთო. სარჩოც მაინც და მაინც ბევრი არ მოუთხოვიათ. შემდეგ შეგვადგენინეს ოქმი და მოუწერეთ ხელი მათი ბრძანებისამებრ. გვახდევინებენ ფულს მას აქეთ და გვახდევინებენ, რამდენიც უნდათ.

გვქონდა მთელ ბაზარში ორმოცი ფარანი, რკინის სვეტებზე. მობოჭეს დიდი ფული ახალი სისტემის ფარნების საყიდლათ. იყიდეს სულ რვა ფარანი. ერთი დადგეს მაზრის უფროსთან, ერთი მომრიგებელ მოსამართლესთან, ერთი დადგეს მაზრის სამმართველოსთან და ერთი ფოჩტის კანტორასთან, ასე რომ ამ ფარნების საყიდლათ დიდი ფული დაიხარჯა და ყოველ თვეში ას მანეთზე მეტი მიდის, ნახევრობით კი ფარნები არ ანათებენ.

დღეს აღარც ძველი გვაქვს და ბევრ ადგილას აღარც ახალი ანათებს. პოლიციამ აარჩევინა საზოგადოებას თავისი სასურველი ვაჭბატონები, ესენი ვითომ დაბისთვის ზრუნავენ და აუარებელ ფულს ახდევინებენ საზოგადოებას და არ ყოფილა დრო, რომ საზოგადოებისათვის შეეტყობინებიათ, თუ რამდენს იხდიან და რისთვის. ჯიბე აქვთ სავსე ყველას კვიტანციებით, ვითომდა ხალხისაგან არჩეულ კაცებისაგან მიცემული, რომელშიდაც უწერენ: მიღებულია (ამა და ამ კაცისაგან) ნაგავის გასატანი, განათების, სტრაჟნიკების, სასწავლებლის, საყარაულოსი, მოსტავოის და სხ. ვერაფერი კაცი ვერ გაიგებს—ამ ჩამოთვლილ საჭიროებისათვის რამდენი ხდება მთელ საზოგადოებას და თვითეულს კერძოთ.

პოლიცია ირჩევს თავის სანდო პირებს ამ ფულების მოსაკრებათ. თუ ვინმემ ანგარიში მოითხოვა, იმას გაუსწორდებიან ოთახში საიდუმლოთ მიწერილობა არაფერ საქმეში პოლიციის არა სჩანს. მიწერილობის მაგივრად თოფიანი დარაჯები, აუარებელი გატენილი პატრონები წინ და უკან ახლავსთ ფულების ამკრებთ და შიშის თავზარს სცემს ყველას. გადასახადი წინეთ იყო მცირე რიცხვზე, დღეს ირგვლივ ყვირილის გარშემო სოფლების მცხოვრებლებზედაც გაავრცელეს ეს ხარკი. რაც პირველი მოთხოვნილება იყო, დღეს ერთი ორად და სამად მეტი ღება და ვერავის გაუბედნია ვისთვინმე ანგარიშის მოთხოვნა.

ომიანობის წესების გამოცხადებამ სულით დასცა ჩვენი საზოგადოება. მოხსნეს იგი, როგორც იყო გაზეთებში გამოცხადებული, მაგრამ ჩვენს მკერდსა, თავსა და ზურგს, არავითარი გარანტია არა აქვს დღესაც, ჯამაგირს აღარავინ სჯერდება, ერთი-ორს კიდევ მეტს თხოულობენ საზოგადოებისაგან.

ბ. გიორგი ამილახვამა აქ ზოგიერთებს არაბული ჯიშის ცხენები საჩუქრად გამოუგზავნა და ეგზეკუცია უნდა ჩაეყენებიათ, საცოდავი ბეჟათუბნელი გლეხებისათვის. ზემო კუთხის ბერეთისა და მ ნდეეთში გლეხებს რა უბედურება მიაყენეს ვერ წარმოიდგენს კაცი.

თუ რამე შეგიძლიათ ბეჭდვითი სიტყვით, გვიშველეთ, ხმა ამოიღეთ. იქნება ან თვითონ შერცხვეთ, ან მაღალი მთავრობის შეეშინდესთ, ან კიდევ თვითონ მაღალმა მთავრობამ მიაქციოს ყურადღება და გამოგზავნოს მცოდნე და მიუდგომელი გამომძიებელი და შეიტყოს ჩვენი ვაჭირვება—ლანძღვა გინება, ცემა ტყეპა და უჯაო გადასახადები, რომელიც მგონია არც ხაზინას ერგება, არც სახელმწიფოს და არც ჩვენ გვხმარდება—არამედ მიდის ქეიფში, ქალების დევნაში, ბანქოს თამაშში და დაფა-ზურნაში, რომლის ხმა ყვირილაში განუწყვეტელია.

უნდა იცოდეს უმაღლესმა მთავრობამ, რომ ამისთანა უბედური გადასახადებით ძირი ეთხრება საზოგადოების კეთილდღეობას და დაღუპულ-დაცემული საზოგადოება საზარალო არის თვით სახელმწიფოსათვის.

ნარი.

# სადღეისო

**ჩემი ანკეტა.**

> „ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობას მთელი სადამო ქართული თეატრის იჯარით აღების პირობათა შემუშავებას მოანდომა. ამ პირობებს დეპუტატ საკრებულოს წარუდგენენ“.
>
> („დროება“).

ელვასავით მოედო ეს ამბავი მთელ ქალაქს. ყველა განურჩევლად სქესისა და სარწმუნოებისა, ფარულად და ახდილად, პირდაპირ და არა პირდაპირ (ანუ ზურგს იქით!)—ყველა გაოცებული იყო და ერთმაწერას მისჩერებოდა. ხმას არავინ იღებდა, მაგრამ ყველა კითხულობდა:

— ნუ თუ ჩვენ ქალაქში ასეთი სასწაული მოხდა?!.

ლადი ოცნების პატრონი,—ახალგაზრდა ჭაბუკი, რომელიც თეატრში ყოველთვის უფასოდ დაიარებოდა. მოციმციმე ვარსკვლავისავით ბრწყინავდა და, რაკი აღარავინ ლაპარაკობდა, თვითონ ამოიდგა ენა, მრავალი ჰრელი ნივთიერებით შემოსილი და გალამაზებული:

— აი, აიღებენ იჯარით თეატრსა, და მაშინ ვნახავთ, რომ ქართველ მსახიობთ „ლურჯი ჩიტი“-ს თამაშიც შეუძლიათ, არა თუ ვიღაცა „ადვაკატი მელაძე“-სიო!..

— ღმერთმა ქმნასო! — გულჩათუთქულმა ჩაილაპარაკა ვიღაცამ... ყმაწვილიც გაწითლდა...

სირცხვილის სიწითლე კიდევ არსებობს თურმე!..

ვიღამაც გამოაცხადა ახალი ამბავი: საკრებულოს მოუწონებია გამგეობის პირობები და თეატრიც მისთვის გადაუცია საექსპლოატაციოთ!..

ყველას მოეხსნა პირზე დადებული კლიტე. ყველა ახმაურდა. ყველა თავისას გაიძახოდა.

— ქიდაობა იყოს ჩვენ სამშობლო თეატრში,—ფრანგული ჭიდაობა!— გაიძახოდა ერთი პირმოპარსული ახალგაზდა ყმაწვილი, რომელიც ხალხში ძალიან განათლებულ კაცად იყო ცნობილი და ამავე დროს პირისახეზე შავ ნიღაბ აფარებული ხშირად მშვენიერ ქმნილებათ ექიდებოდა...

— არა, პროჟექტორი უკეთესია: ბევრს გვაცინებს!..

— დრამა, დრამა მინდა! სიმბოლიურ—მისტიურ—დეკადენტურ—რეალური დრამა იყოს უსათუოდ, თორემ ქანდარაზე აღარ ავალ და არც ვისმე გავატარებო,—იძახდა გაშმაგებით მესამე

— თუ იყოს, ისევ ოპერა! თუ არა, მეწყერსაც წაუღია თქვენი თეატრიც და დრამატიული საზოგადოებაო!—მრისხანებით ცეცხლს აფრქვევდა მეოთხე.

საშინელი ღრიანცელი იყო. ვერაფერს გაარჩევდა ადამიანი. ძნელი გამოსაცნობი იყო, ვის რა უნდოდა ან რის მომხრე იყო.

გადავწყვიტე, თან წამეყვანა ჩემი მეგობარი და სათითაოდ ჩამომევლო გამოჩენილი პირები და დაწესებულებანი. მეკითხა, თუ რას არჩევენ იგინი ქართული თეატრისათვის.

დილით კი გავემგზავრე გამოსაკითხავად, მაგრამ ძლიერ მეშინოდა: მეგობარიც ამიტომ წავიყვანე თანა.

გადავწყვიტეთ ასვლა ნაცნობებთან, რომელიც ჭიდაობაზედ ხშირად დადიოდა. არჩევანი სახიფათო იყო, მაგრამ მოგეხსენებათ: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“—ო, და ჩვენ გავწიეთ რედაქტორისაკენ.

ჯანდაბას თუ დავიხოცებით! სამშობლო თეატრის მსხვერპლი შევიქნებით!.. დიადი საქმეა!..

წყნარად დავაკაკუნეთ რედაქტორის ოთახის კარი. კარი გაიღო. დავინახეთ რედაქტორი. პირი გავაღეთ და, ის იყო, უნდა მოგვეხსენებია მიზეზი ჩვენი მისვლისა... მაგრამ ორი დიდი დასივებული და დაწითლებული მუშტი მოგვაგება შიგ პირში.

„მშვიდობით, ცოლო და შვილო!“—ეს-ღა მომაგონდა.

შიშით თავსბრუ დაგვეხსა, თვალთ დაგვიბნელდა- ყველაფერი ერთმანერთში აირია: ნაცნობი, საწერთ მაგიდა, ვიღაც ასული, ტელეფონით, გაზეთები და ფილოსოფიური წიგნები!..

მხოლოდ მაშინ მოვედი გონს, როდესაც მეეზოვემ ზრდილობიანად მომკიდა ხელი და ფეხზე ძლივს დამაყენა. მტვერში საცოდავად ამოგანგლული ვიყავი. დალეწილი მიწებიც იქვე ეყარა ჩემს გარეშემო.

თურმე შიშისაგან ფანჯრიდან ძირს გადმოვვარდნილიყავი, და გვერდიც მიტომ მილიტინებდა ასე ულმაზათოთ. მეგობარს თავი დაეღწია და ქუდმოგლეჯილი შუა ბაზრისაკენ გარბოდა.

„ქართულ თეატრში კრივის ნახვა სურს“, გადავწყვიტე ჩემთავად. მაგრამ ის კი ველარ გამეგო, თუ საიდან იცოდა ჩვენი მისვლის მიზანი...

დამაბეზღეს ალბათ!..

გულდაწყვეტილი, ნეკრესის ქარებიანისავით გვერდზე გადაზნექილი გავშორდი ამ დაწყევლილი ადგილს...

ის კარებთან ვიდექი. დაშინებული აქაც ველარ ვბედავდი შესვლას.

„შევიდე,—არ შევიდე... შევიდე,—არ შევიდე“, —ვერ გადამეწყვიტა. ბოლოს თვალი დავხუჭე, ორივე ხელის შუათითები გავშალე, ჰაერში რამდენჯერმე დავატრიალე და ერთმანეთს დავაჯახე. ორი მატარებელი ისე ვერ მიებჯინება ერთმანეთს, როგორც ჩემი თითები ეტაკენ...

„Alea iacta est!“—წამოვიძახე იულიუს კეისარისავით და ვტუსე თავი იასთან.

ნაზი ია გარინდებული იდგა შუა ოთახში და რაღაცას ტკბილად, საამოდ ღიღინებდა.

— რა მსურს, ჩემო მშვენიერო ია, ჩვენს თეატრში იყოს მუდმივ?—ვკითხე მას.

„ვაი, ნაღვაწო, ნაშრომო,
ტაძარო თლილი ქვისაო!
გაშენე, თეთრად გაგლესე...
რაღათ დაეცი ძირსაო?!.
რა ვარსკვლავზე ხარ ნაშობი,
სცენაო ბედშავ დღისაო,
რომ სიცოცხლეში ვერ ნახე
ბრწყინვალე შუქი მზისაო?!
შენთვის უცხოა ტრაგიზმი
უკვდავი შექსპირისაო;—
შენ სამსხვერპლოზე გვაჩვენეს
ბლლარძუნი ვონტერიჩაო!!!..
განა მაგისთვის გაშენე,
ტაძარო თლილის ქვისაო?!.

მწარედ ღუღუნებდა ია. სულგანაბული ყურს ვუგდებდი. თვალი ცრემლით აევსო და მარგალიტისავით ძირს, ღაწვებზე გადმოედინა. ველარ გავუძლე ამ მწუხარებას და საჩქაროდ გარედ გამოვედი.

„ჭიდაობა არ ესიამოვნება... შექსპირს აღმერთებს ალბათ?!...“—გაუბედავად გადავჭერი სამართალი,—გაუბედავად, რადგანაც აბა ვისლა მოსწონს ეხლა შექსპირი? დაბერდა, დაჩაჩანაკდა და ადგილი უსათუოდ პოდდუბნის ან პინკერტონს უნდა დაუთმოს!..

რაკი მარცხი უკვე ვიგემე. მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხდი.

შევედი დრამატიულ საზოგადოების კანტორაში. კარებში მოსამსახურე შემეფეთა.

— რა გინდა...

— სამითვის ჯამაგირი, ყმაწვილო!—აღარ დამამთავრებინა კითხვა და გაზეპირებული პასუხი პირში მახალა.

დღეს, ვგონებ, ყველა გადარეულიყო!?.

წევრებს მთელი ღამე მუშაობაში გაეთენებიათ. ძლიერ დათენთილიყვნენ და მეტი ლაპარაკისაგან ენა დასივებოდათ, ასე რომ პირში ველარ ეტეოდა, და გარე გადმოეყარათ. შინ ველარ დაბრუნებულიყვნენ და აქვე მოესვენათ. ზოგს ჩადრზე ეძინა, ზოგს—მაგიდაზე, ზოგს კი—თეატრის ძირს საფენ მწვანე ტილოზე. მხოლოდ ერთი გაბუტულისავით მოშორებით იჯდა: სკამზე დასძინებოდა. საამური ხვრინვა ისმოდა...

რომ გამეღვიძებინა,—მცემდნენ... შემეშინდა და გულის კაკუნით გარედ გამოვედი. ბაღისკენ ავუხვიე. ბილეთი არ მაყიდია: შიშისაგან დაღეული ვერავინ შემამჩნია...

კოტე ვნახე. გამეხარდა. ძველი მეგობრის ნახვა.

— ამბავი ტარიელისა,—მუცელი ცარიელისა?—ჩვეულებრივი ღიმილით მკითხა მან.

მეწყინა ასეთი თავგასულობა!

— ტარიელმა ფანჯრიდან ძირს გადმომისროლა—მეთქი. მუცლისა კი რა მოგახსენო?!. აქამდე შენც ცარიელი გქონდა იგი—მეთქი,—ისევე, როგორც მე...

— ახ, ты мальчишка!-ო.

მეხუმრებოდა, და მეც ავუხსენი მიზეზი და მიზანი ჩემი მისვლისა. გაეცინა და ფუნჩული ხელი ჯიბეს მაიკრა სიამოვნებით.

— რაც არ მაზარალებს, ის მინდა იყოს ქართულ თეატრში. ფული, ფული!..

ძლიერ მესიამოვნა ჩვენ დროში ასეთი პირდაპირობა.

— სოფრომი მოდის! — სასოწარკვეთით დაიღრიალა უცებ ვიღაცამ.—მე მამხრე ვარ ჰიდაო... ფულ... დრამ... კომ.. პროტეექ...

„ეჰ, ამასაც დავთარი დაებნა! თვალი თუ ეცა-მეთქი“ და შელოცვა დავუწყე: „შეგილოცავ თვალისასა“, მაგრამ უცებ მომაყვირა:

— მე მამხრე ვარ პროჟდრამჰიდაობისაო,— და სოფრომს გამოეკიდა უკან...

რად შემეშინდა ასე სოფრომის? ან რას ნიშნავს ან სადაურია სიტყვა: „პროჟდრამჰიდაობა?..“ ხვალ უსათუოდ საფაროვს ვკითხავ: მან ყველა ენები იცის...

ჯერ-ჯერობით კი ისევ დამამარცხეს... თვლაც დამავიწყდა...

სად წავიდე? ვისთან მივიდე?.. ერთ წოდებრივ დაწესებულებაში?.. იქ ბევრს რასმე გავიგებდი, გავიგებდი, საბძელი იქნება თეატრი მომავალში თუ საჯინიბო,—ყველა ამას იქ გავიგებდი, მაგრამ ვინ შემიშვებს?!. მაგრამ უცებ მომაგონდა მეგობრის სიტყვები: „იქ გოცირიძე, ტოროშელიძე და ჯუღელი გაფიცულან და ბუნტობენო!..“

— ვიჯმნი ეშმაკისაგან!—შიშით წამოვიძახე და... აქეთ-იქით მივიხედე. არავინ იყო ახლო.

„ისევ ლ. იავარსკაიას ვკითხავ-მეთქი,— გავიტარე გულში და, ვინაიდან აქ არ იყო, დეპეშა ვსტკიცე...

ღმერთო მომკალი! პასუხის ღირსი გამხადა!..

„ტფილისელების ერთმა ჯგუფმა მოსკოვიდან აკი გაიწვია ცნობილი არბიტრი ლებედევი თავისი მოჭიდავეებით!?. მე რაღა მინდა მანდა, ჩემო ნაცნობო?.. მაგრამ თუ **5,000** მანეთს მაჩუქებთ, ჩამოვალ და მაშინ გაჩვენებთ, რაც მინდა. ისე ნუ მელით... ლ. იავორსკაია...“

საიდან ვუშოვო 5,000 მან.?.. თავ-დაზნაურებს ვსთხოვო?.. აბა, მე საიდან ვაჩუქო?.. ცოლმა რომ გაიგოს, ხომ... შიშისაგან აზრი გამეყინა, ენა დამიჩლუნგდა... ორი შაურიც ტყვილად დავკარგე: დეპეშების დამტარებელს მივეცი..

გულდაწყვეტილმა სახლისაკენ გავწიე. აღარ გავმართავ ამ დალუპულ ანკეტას!..

**ძველი ნაცნობი.**

## ავათმყოფი დედა

მთაუწვდენელი მთა, ზოგან უზარმაზარი სალ-კლდეებისაგან შეყორილი, ზოგან მწვანით მოელვარე ხეებით დაფარული ამპარტავნათ დაჰყურებს, ღრიალით მიმქროლ მდინარეს.

ხავერდით აბიბინებულ ველზე აუარებელი ჩიტუნები ჟღურტულობენ. არწივი ლურჯ ცის კამარაში წერტილივით მოსჩანს. ჰაერი რბილია.

პატიმარნი დაბანაკებულან.

ფერმკრთალ მოხუც ქალს სუნთქვაც კი არ ეტყობა.

— დედა გვიკვდება, რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ?! ბუნების კანონია! ექიმმა სთქვა არა ეშველება რაო.

— ასე ჩაუგდოთ სიკვდილს ხელში?

— დედის იმედი აღარა მაქვს! თავს უშველოთ რამე: ასე ხელ-ფეხ შებორკილი უმოძრაობა ჩვენც მოგვისწრაფავს სიცოცხლეს.

— დედას კი, დედას რას უზამს ეს ბორკილი?

— ჰე, ნამეტანს კი ნუ იზამ! მაგან თავისი დრო მოსჭამა: ცხოვრებით დასტკბა, იცხოვრა. ვერ უყურებ დანაოჭებულ სახეს და კბილებ ჩაყრილ ტუ'ებს?!

— ეს ნაოჭები ხომ ჩვენ ალუბექდეთ შუბლზე. გახსოვს როგორ უდარდელათ ვძიძგნიდით ძუძუებს; გახსოვს როგორის სინაზით გადაგვისობდა მხურვალე შუბლზე ცივ-ხელს; გახსოვს ღამე არ ეძინა, დღე—ლუკმას პირში ჩასადებს, ჩვენ გვაწვდიდა; გახსოვს, როგორ გვბანდა გვირეცხდა, გვეალერსებოდა — გადუხადოთ რითიმე! დაურთოთ ამ დარაჯებს ორთავემ, იქნებ, ამოვლეწოთ როგორმე!

— იცი კი დანამდვილებით, რომ გავწყობთ რასმე. შეიძლება დარაჯებმა მოგვერიონ და სრულიად დავიღუპებით.

— ამ იარიდან მაინც გავანთავისუფლოთ; იქნებ, ისაა, რომ სანთელსავით აღნობს სხეულს.

— რა დროს მაგის იარებია—გავიქცეთ!

— წადი, თუ გინდა, ოღონდ ჯერ ნეშტარი მიშოვე, ნეშტარი! უკანასკნელ საშუალებას ვშინჯავ!

— სად ვიშოვო. ღამეა, არ მანდობენ. თუ ერთხელვე გაპარვა მოვახერხე მერე, მართალი გითხრა, აქ ვეღარ შემომიტყუებ!

— მაშ, ავათმყოფს მაინც მოუარე მე წავალ!

— მე მეტის ატანა აღარ შემიძლია. მივდივარ, სხეული მოძრაობაში მოვიყვანო, ამ საშინელს ცხოვრებას მოვშორდე.

ერთი ძმა ღამის წყვდიადში მიიმალა.

მეორემ აიღო დამალული პატარა დანა, ჩაჰკრა ყვითლად მოელვარე მუწუკს.

იარამ იდინა.

ქალმა მოიხედა: მგონი მოვრჩი. უჰ, რა მცივა.

მოვიდა ექიმი. სისხლი აკლია, სრულიად დალეულა იარისაგან. მორჩა, მაგრამ სულ ერთია სისხლ-ნაკლებობა მოჰკლავს წარმოსთქვა ექიმმა.

— მაშ, რა ეშველება?

— სწორედ არ ვიცი მე ვერც ის წარმომედგინა, რომ იარის გახსნა ეგრე იმოქმედებდა—ყველაფერი ბუნების, გარემოების და სიყვარულის ნაყოფია. სიყვარული ჰკურნავს.

ექიმი წავიდა.

ყმაწვილმა გაიხსნა მაჯა და თავისი სისხლი დედას შეუშხაპუნა სხეულში.

დედა მორჩა.

დარაჯებმა განთიადისას თავი დახარეს დიდებულ დედოფლის წინაშე; დანარჩენნი იქ მყოფნი დედოფლის მხლებლებლათ ჩასთვალეს და ხელცარიელნი გაშორდენ იმ ადგილს. ღმერთს მადლობას უძღვნიდენ, რომ შეურაცყოფისთვის არ ამოწყვიტეს,

ერთი შვილი სისხლისგან გაცლილი სადღაც აგდია ცივ სამარეში.

მეორე კი დაბრუნდა ამაყათ გაიძახის: დედა მორჩა, კარგათაა; შეხედეთ ჩემს დედას, ყველაზე დიდი ხნისაა, მაგრამ არავის ჩამოუვარდება.

როცა ვინმე ჰკითხავს, ვინ მოარჩინაო, ცოტა შეკრთება და ამბობს: ჰმ, არ ვიცი, ნამდვილის თქმა ძნელია, ყველანი ვცდილობდით... მე მშვენიერი დედა მყავს... მე შვილი ვარ...

**ნ. ლორთ.**

## ქართული ჰანგები

I

შუმოს *) როს ძლია ცხოვრებამ და შემოჰყარა გული მას,
პაპა მისს ბროს **) დაეკითხა, ვისთვის არ შურდა სული მას:
„—ვინ ითვლება ხელდადებით ამ ჩვენს ერში ბედნიერი:
„მსაჯული პატიოსანი, მწერალი დიდ-ნიჭიერი,
„მოღვაწე, მამულისათვის რომელს მიუძღვის ამაგი,
„ოუ სულიერი მოძღვარი, ღვთიურ სიტყვისა მქადაგი?“
შუმოს შეცინა პაპამა და უთხრა: „შვილო, იქნება,
„ციური ნიჭიერება, ამაგი, პატიოსნება,
„გგონია ეს ღირსებანი ჩვენებში ფასობს ძვირათა?
„ჰოიმე... არც ერთს ამათგანს ფასს აღარ დებენ ჩირათა!
„მერწმუნე, ჩვენში იგია დღეს ბედნიერი, შვილოვო,
„ვისაც ზურგი აქვს მოქნილი და ფარეშული კილოვო,
„სიტყვა სწორი და საქმე კი მრუდე, ვით ძაღლის კუდიო,
„ვინც კი ფეხს დაუბაკუნებს, იმის ახურავს ქუდიო!
„მე კი მოვჭამე ჩემი დრო, შენ მებრალები, შვილოვო,
„ზურგი გაქვს დაუდრეკი და შეუპოვარი კილოვო!“

II

ღმერთო მაშორე: ნაჭინჭვლ დათვს,
არარატისა შვავსაო,
ორპირთა ამხანაგობას,
ჩამრები რუსის შარსაო,
უპირისწყლოსა მეგობრებს,
ავყია ქალის ყბასაო,
დაცინვას სულელებისას,
ბრიყვი მსაჯულის მსჯავრსაო!

**თ. მაგმაძე.**

*) **) შუმო და ბრო მამაკაცის სახელებია ქურთებში.

## კმარა სიცრუე!

(ბ. ბურჯანაძის წერილების გამო (ხ. „ივერია“ №№ 26, 27, 28 და 29)

ახლა ვნახოთ, ვინც არის კომისიის, თვითმართველობის და თვით კორპორაციის პრინციპების გამთელი და მოღალატე. ბურჯანაძემ ახლად გახსნილ თვითმართველობის მეოთხე სკოლაში გალობის მასწავლებლათ მიიწვია ბ. ჩადუნელი კორპორაციის დაუკითხავათ. ერთი თვის შემდეგ (რათა კომისია უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებია) იგი წარუდგინა დასამტკიცებლათ კომისიას, რაზედაც კომისიამ კაი საყვედური უძღვნა ბურჯანაძეს და კიდევაც გააფრთხილა იგი ასეთ უკანონო მოქმედებაში. განა ეს ფაქტი არ კმარა იმის დასამტკიცებლათ, თუ რაოდენათ თვითნებობდა ბ. ბურჯანაძე კორპორაციაში კი არა თვით კომისიაშიც კი. განა ეს არ კმარა იმის დასამტკიცებლათ, რომ ბურჯანაძეს კორპორაციაში ბატონობის სურვილი ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი? საზოგადოთ ბურჯანაძე ისეთ მასწავლებლების კანდიდატურას აყენებდა თავისუფალ ადგილზე, რომლების დამორჩილება და მონებათ გახდა ადვილი იყო. იგი მუდამ წინააღმდეგი იყო ისეთი მასწავლებლების, რომლებიც ასე თუ ისე საკუთარი ჭკუის და მტკიცე ხასიათის პატრონი იყვნენ. მან კარგათ იცოდა, რომ ასეთ ადამიანებს იგი ადვილათ ვერ გაიხდიდა ყმებათ და მაშასადამე თავის ჭკუაზე ვერ ათამაშებდა. ამის დასამტკიცებელ საბუთად ისიც კმარა, რომ ბურჯანაძე წინააღმდეგი იყო ისეთი მასწავლებლის, რომელიც კორპორაციამ ერთხმად აირჩია თავისუფალ ადგილზე 1906 წელში. შეიძლება ჩემ მიერ ზევით მოყვანილ ფაქტებიდან ზოგიერთი წვრილმან რამეთ მაგალითად ბურჯანაძის საქციელი არჩევნების შესახებ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ადამიანი უბრალო და წვრილმან რამეებში იჩენს თავის ხასიათს. მე მგონია ყოველივე ზევით აღნიშნული სავსებით ახასიათებს ბ. ბურჯანაძეს, როგორც ადამიანს. ახლა ვნახოთ თუ რა როლს ასრულებდა ბურჯანაძე მოძრაობის დროს. მიიღო რამე მონაწილეობა მან მასწავლებელთა გაფიცვებში? გაიფიცა იგი თუ არა და თუ გაიფიცა, როდის და რა მიზნით. რას ამბობდა იგი როდესაც ჩვენმა კორპორაციამ მიიღო წინადადება გაფიცვაში მონაწილეების შესახებ? „ყველანი თუ გაიფიცებით მეც მაშინ გავიფიცებიო“. სად ბრძანდებოდა ბურჯანაძე, როდესაც სრულიად საგუბერნიო კრებები მოხდა, ერთი ქალაქის მესამე შკოლაში და მეორე სამეურნეო სკოლის ეზოში, სადაც მასწავლებლებმა თავიანთი ისედაც დაცვეთილი ტანისამოსი ეკლიან მავთულებს გადააფხრიწეს და ცხვირ-პირი დაიკაწრეს? ბურჯანაძე დაესწრო ამ უკანასკნელ კრებას. მერე რა ქნა მან? როდესაც კრებამ ძებნა დაუწყო ქალაქის სკოლის მასწავლებლებს, რათა პასუხი მოეთხოვათ მათთვის გაფიცვაში მონაწილეობის არ მიღებისათვის, ბ. ბურჯანაძე სტოლის ქვეშ დაიმალა და, როდესაც კრება სხვა საკითხზე გადავიდა, იგი სამარცხვინოთ გაიპარა კრებიდან, რითაც თავი გადაირჩინა იმ უბედურებისაგან, რომელიც მასწავლებლებს ეწვიათ იმის გამო, რომ სკოლის თავზედა მეჯინიბემ ბორკილიანი ჯორი თუ ცხენი, კარგათ არ მახსოვს, შემოაჯირითა სკოლის ეზოში. რომელ პარტიას ეკუთვნოდა მაშინ ბურჯანაძე ამას ვერც ერთი მისი დაახლოვებული მეგობარი ვერ იტყვის გადაჭრით. იგი მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში მიეკედლედა თავის პარტიას, ალბათ ზურგის გასამაგრებლათ, და ყოველ ღონის ხმარობს, როგორმე ჩვენ შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნება პარტიულ ნიადაგზე გადაიტანოს. იგი საზოგადოებას ამხედრებას და მხარის დაჭერას ითხოვს, მაგრამ მისდასაუბედუროთ ჯერჯერობით არავის უკისრია ეს სამარცხვინო როლი და ვერც აწი იკისრებს ვერავინ, ვინაიდგან ის ისეთ საქციელში დაიჭირეს, რომ მის გამოქომაგებას და მხარის დაჭერას ყველა სამარცხვინოთ მიიჩნევს და თუ კი დღემდის რაიმე დაიწერა მისდა სასარგებლოთ ეგ მხოლოდ იმის მიზეზია, რომ იგი დღემდის მართალი ადამიანი ეკილოთი გაიძახდა: „არავითარ სასამართლოს არ ჰქონია ადგილი ჩემ და აბზიანიძის შორის, მესხმა ჰორები მომიგონა და ნაცვლიშვილმა სიყალბე გამოაქვეყნაო“. ახლა ვიკითხოთ როდის გაიფიცა ბურჯანაძე? მაშინ როდესაც გაფიცვები ყველგან მოიხსნა, 1906 წელში. აკი ზევით მქონდა ნათქვამი, რომ 1906 წელში იმ „კოლეგას“ (სკოლის გამგეს), რომელსაც ბურჯანაძე იხსენიებს თავის წერილში, საჩივარი შეუტანა ქალაქის გამგეობაში. რატომ ვიყავი მე წინააღმდეგი იმ საჩივარზე ხელის მოწერის, ამის მიზეზს და ბევრს სხვა რამეს, როდესაც საჭიროება მოითხოვს, გამოვაქვეყნებ. ბურჯანაძემ იმ „კოლეგის“ უკანონო მოქმედებას თვითმართველობის სკოლაში მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება, როდესაც ეს მისთვის ხელ-საყრელი იყო, ესე იგი 1906 წელში, რათა სამსახურიდან გაედევნა იგი და მისი ადგილი დაეჭირა, მაგრამ ამ ცდამაც უნაყოფოთ ჩაუარა, ვინაიდგან. შკოლის გამგემ (კოლეგამ) კომისიის წინადადების თანახმად დააკმაყოფილა ყველა ის მოთხოვნილება, რომელიც ბურჯანაძის საჩივარში იყო წამოყენებული. რათა მომავალ სასამართლომ (რომლის დანიშვნასაც არ ვიცი რა იმედით მოითხოვს ბურჯანაძე) იქონიოს სრული წარმოდგენა ბურჯანაძის პიროვნების შესახებ, აუცილებელ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო აქ კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ბურჯანაძის ცოცხლად დამმარხველ საბუთად და ყოველივე ზევით ნათქვამის დამადასტურებლად უნდა ჩაითვალოს: ბურჯანაძეს, მიუხედავათ მის მიერ ჩადენილ სამარცხვინო ოინებისა, არ ქონია სრული იმედი გამგის ადგილის შოვნისა და აი რა სამარცხვინო საშვალებისთვის მიუმართავს—ვაი სირცხვილო, სად არის შენი სიწითლე?! სადორიაში (ქუთაისის ნაწილია, სადაც მეოთხე სკოლაა, რომლის გამგეთ ბურჯანაძე იყო) ცხოვრობს სამინისტრო სკოლის მასწავლებელი ა. ს—რუა, რომელიც ასე თუ ისე, როგორც ინტელიგენტი, გავლენიან პირათ ითვლება მკვიდრთა შორის. ბურჯანაძეს ზემოხსენებულ ს-რუასთვის უთხოვნია შემდეგი: „თუ რომ კომისიამ ახრად გახსნილ მეოთხე სკოლის გამგეთ დანიშნოს ნ. აბზიანიძე, იმ შემთხვევაში ეცადე („პროპაგანდა“ გასწიეო), რომ მცხოვრებლებმა „ბოიკოტი“ გამოუცხადონ, როგორც სკოლის გამგეს ნ. აბზიანიძეს ისე თვით სკოლასა“. ნუ თუ ამის შემდეგ ცხადზედ უცხადესი არ არის, რომ ბურჯანაძის მიერ ნ. მესხის გასამართლება 1905 წელში, სკოლისათვის „ბოიკოტის“ გამოცხადება 1906 წელში (მისი აზრით გაფიცვა), მოსკოვში ცრუ დაბეზღების შეთხზვა, ყალბი წერილების შედგენა გინცბურგის სახელით, ის სამარცხვინო ოინებია, რომელითაც ბურჯანაძის უნდოდა გამგის ადგილი ეშოვა, ნუ თუ ამის შემდეგ ბურჯანაძე კიდევ დაიწყებს თავის მართლებას?! ყოველივე ზევით მოყვანილი სავსებით გვიხატავს ბ. ბურჯანაძეს, როგორც ადამიანს და პოლიტიკურ მოღვაწეს. ახლა გადავავლოთ მოკლეთ თვალი მის ლიტერატურულ მოღვაწეობას და დავანახოთ მკითხველს მისი ნაწერების ფუქსავატობა, მისი ჭკუაგონების და ცოდნის სიღატაკე. აიღეთ მისი პირველი წერილი „ბიუროკრატია და შკოლა“, შეადარეთ იგი დანარჩენ მის წერილებს და ნათლათ დაინახავთ, რომ იგი (ბურჯანაძე) ერთსა და იმავეს სწერს და იმეორებს ამ ოთხი წლის განმავლობაში—მისი ტემებია „შკოლა და ბიუროკრატია“, „შკოლა და დირექცია“, „შკოლა და გამარუსებელი პოლიტიკა“, შკოლა და შკოლა. შკოლა ისეთი რთული რამ არის, ბ. ბურჯანაძევ, რომ მაზე შეიძლება ბევრი რამ დაიწეროს, მაგრამ არც ისე ციბრუტივით ერთს და იმავე ალაგას ტრიალი შეიძლება თქვენ რომ ჩადიხართ. ყველა მისი (ბურჯანაძის) წერილები სხვა და სხვა სათაურით რასაკვირველია მისი პირველი წერილის „ბიუროკრატი და შკოლა“-ს ნაგლეჯებია. იგი დაუშრეტელი წყარო შეიქნა ბურჯანაძის ლიტერატურულ მოღვაწეობისა. აიღეთ ამ წლის „Новости Закавказья“-ს მეშვიდე ნომერი და წაიკითხეთ მისი წერილი „къ введенію всеобщаго обученія“ და შეადარეთ იგი მის პირველ წერილს თარგმანი იხილეთ „ივერიაში“, სამწუხაროთ ნომერი არ მახსოვს. იხილეთ მისი უკანასკნელი წერილები გორიდან „Закавказье“-ში და მათი თითქმის პირდაპირი თარგმანი „ივერიაში“ მაგალითად „Закавказье“-ში სწერს: „чего можно ожидать отъ такого испектора, какъ „Х.“, ახლა იხილეთ „ივერია“—„რას უნდა მოელოდეს კაცი ისეთ ინსპექტორისაგან, როგორც „Х“-აო“ და სხვა. რითი დაიმსახურა ბურჯანაძემ ზოგიერთ ადამიანების ყურადღება? მითი რომ, იგი ჩეხოვის „ზაპოიკინივით“ ლამაზ და უშინაარსა „რეჩებს ამბობდა კრებებზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ზაპოიკინს“ სხვა და სხვა შემთხვევისათვის მზათ ჰქონდა შესაფერი „რეჩი“, ბურჯანაძე კი წინადღით შეამზადებდა (ამოკრეფდა ბროშიურებიდან და პეტიციებიდან) და მედავითნესავით ჩაარაკრაკებდა გაზეპირებულ „რეჩს“. ქუთაისის საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელთანაც ასე თუ ისე დაახლოვებულიყო იყო ბურჯანაძე, დიდიხანია იცნო ეს ქართველი „ზაპოიკინი“, დიდი ხანია დარწმუნდი მის ცრუ ინტელიგენტობაში. იგი ჯერჯერობით მაინც ვერ ეღირსებოდა გამგის ადგილს. ეს კარგათ იცოდა მან და იმიტომაც იყო, რომ ამ გვარ საშვალებას მიმართა, მაგრამ სიყალბემ თავი იჩინა და იგი დღეს ბრაზმორეულია, ჩვენ მისმა ამხანაგებმა ვამხილეთ იგი, ვამცნეთ საზოგადოებას მისი საქციელი, ღრმათ ჩავიხედეთ მის გულში. ამის შემდეგ ბურჯანაძე კიდევ სასამართლოს თხოულობს. ახლა სოფლის მასწავლებლებს ახედრებს ჩვენზე, მაგრამ არც ის სოფლის მასწავლებლები არიან, ბ. ბურჯანაძევ, ისეთი გულუბრყვილონი, როგორც თქვენ ფიქრობთ. ის სოფლის მასწავლებლებიც, რომელთაც თქვენ „მგანბანეებს“ (азбучники) უწოდებთ, შესძლებენ, მიუხედავათ თავიანთი „გაძვალტყავებულობისა“ გაარჩიონ ვინ უფრო საშიშია მღვდელი, მამასახლისი, ინსპექტორი, „მოსე მწერალი“ თუ თქვენისთანა ამხანაგის მოღალატე ცრუ ინტელიგენტი? ჯერ-ჯერობით ეს იკმარეთ, ბ. ბურჯანიძევ, ჩემგან გულზე დასაკიდებელ ავგაროზათ, შეიძლება არც სხვებმა, თქვენ მიერ „დეზორგანიზატორს“ სახელით მონათლულებმა, დაგტოვონ უყურადღებოთ. გახსოვდესთ, რომ ეს მესამედი ნაწილია იმის, რაც თქვენზე უნდა დაწერილიყო.

ბოდიშს ვიხდი მკითხველ საზოგადოების წინაშე და საყვედურს უცხადებ ჩემს თავს. ბურჯანაძე პასუხის ღირსი არ არის და მე კი მკითხველიც დავქანცე, დავქანცე კი არა მგონი თავიც მოვაბეზრე. ბურჯანაძესთან კამათი წყლის ნაყვაა. იგი, თუ მისი წერილების ხასიათს დაუკვირდებით, თავის დანაშაულს უარს არ ჰყოფს, ვინაიდგან თავის გრძელ წერილში კრინტსაც არ ძრავს იმ ბრალდებების შესახებ, რომელიც მას დაუმტკიცდა, ხოლო ცდილობს ჩვენც ჩირქი მოგვცხოს საზოგადოების თვალში და ყოველ წერილში ერთსა და იმავეს იმეორებს. გეინეს ერ იყოს.

„Онъ грустит и премилую пѣсню
поетъ
„О раскаянья‘ мухѣ суровой,
„И когда онъ ее до конца допоетъ,
„Начинаетъ затягивать снова“.

**ნიკო აბზიანიძე**

## რუსეთი

სამინისტროს განკარგულებით გიმნაზიის მასწავლებლებს შეუძლიათ კერძო გაკვეთილებიც აძლიონ მხოლოდ იმ პირობით, თუ წინდაწინვე მიიღეს საამისო ნებართვა, რომელიც მათ მხოლოდ ერთი წლის ვადით მიეცემათ ხოლმე.

— გზათა სამინისტრომ დიდ თვალყურს ადევნებენ ყველაფერს, რაც გაზეთებში რკინის გზის შესახებ იწერება. მაგრამ ეს თვალყურის დევნა ძვირათა უჯდებათ. თვით სამინისტროში მაგ. **130** გაზეთს იწერენ. ამ **130** გაზეთიდან დღეში **15—20** ამბავს ამოჰრიან ხოლმე საამისო მოხელები და მინისტრს წარუდგენენ: ეს საქმე სამინისტროს უჯდება წელიწადში **6,300** მან. ისე რომ თითო საგაზეთო ამბის ამოჭრაზედ იხარჯება **400** მანეთზე მეტი. საინტერესო ის არის, რომ ერთსა და იმავე ამბავს სხვა და სხვა გაზეთიდან რამდენიმეჯერ ამოსჭრიან ხოლმე და ამას არც მოხელე შენიშნავს არც თვითონ მინისტრი, რომელიც თავის რეზოლუციას რამდენიმეჯერ აწერს და ისიც ხდება, რომ რეზო-

ლუციები ერთსა და იმავე საქმეზე ხშირად სხვა და სხვა გამოდის.

— სასულიერო აკადემიაში 60 თავისუფალი ადგილი იყო. თხოვნა შევიდა 62, ამათშიც რამდენიმემ უარი განაცხადა შესვლაზე.

— მამა ვასტორგოვს სღვდელოება სახელმწიფო საბჭოს კანდიდატად ასახელებს.

— ლოძში სამოსწავლო მზრუნველმა ებრაელებს ნება დართო რუსულ ენის, ისტორიის და გეოგრაფიის მასწავლებლობა იკისრონ ხოლმე. ეს ნებართვა საინტერესოა იმით, რომ იქ ეს მასწავლებლობა აკრძალული აქვს ყველა არა რუსს. დირექციის აზრით ეს განკარგულება მხოლოდ პოლონელების წინააღმდეგ მიმართულია. ამნაირად პოლონელებთან საბძოლველად მთავრობა ებრაელებსაც კი ემხრობა.

## ოსმალეთში

სადაც ორი ან რამდენიმე ეროვნება ცხოვრობს და ერთი მათგანი სხვებზე გაბატონებას ცდილობს, აუცილებელი ხდება ეროვნული ბრძოლა და გაბატონებულმა ეროვნებამ დროზე თუ არ დათმო მისაკუთრებული უპირატესობა სხვა ერებს, — სახელმწიფო შინაურ ბრძოლისაგან დასუსტდება და ხალხის კულტურული ზრდაც შეჩერდება, რადგანაც ხალხის ძალები მოხმარდება ეროვნულ ბრძოლას და არა კულტურულ განვითარებას.

ეს ჭეშმარიტება ძალაუნებურად გაგვახსენდება, როდესაც ოსმალეთის უკანასკნელ ამბებს ვკითხულობთ. ოსმალოებმა ოსმალეთი თავის საკუთრებათ იცნეს და მოისურვებს ამ სახელმწიფოში მცხოვრებს სხვა ერებისთვის თანასწორი უფლებები არ მიანიჭონ. საამისოდ ოსმალეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის ძილითაც აკრძალულია ყოველივე ეროვნულ — პოლიტიკურ პარტიების მოწყობა.

ამ კანონმა ყველა არა ოსმალო აალელვა... ოსმალეთის სერბებმა თავიანთ გაზეთში „ცარიგრადსკი გლასნიკ“-ში გამოაცხადეს, რომ ეცდებიან რამენაირად სერბებისთვის მიიღონ ეროვნული თანასწორობა: „ოსმალეთის ყველა კუთხეში სერბი თავის თავს სერბად უნდა იცნობდეს, სერბები ცალკე ეროვნებად უნდა იცნოს პარლამენტმა და ამ ეროვნებას მან სხვა ერების თანესწორი პოლიტიკური უფლებები უნდა მიანიჭოს“.

მაკედონიის ბოლგარებმაც გამოსთქვეს თავიანთი ეროვნული მიზნები. დ. რიზოვმა დაბეჭდა ღია წერილი ახმედ რიზასთან, რომელშიაც სწერს იმას, რაც უტყუარი ჭეშმარიტებაა და რაზედაც ყურს იყრუებს ხოლმე ყოველი გაბატონებული ეროვნება. „სხვა და სხვა ეროვნებით დასახლებულ სახელმწიფოს პოლიტიკური ერთობა შეუძლებელია, თუ ამ სახელმწიფოში სულიერი ერთობა არ იქმნა, ეს სულიერი ერთობა კი მოსაფიქრებელიც არ არის, თუ ერთი რომელიმე ერი სხვა ერებზე გაბატონებას ეცდება“.

ალბანელებიც ითხოვენ ავტონომიას.

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი წინ აღუდგა ყველა ამ ეროვნულ მოთხოვნას, — ვისაც პოლიტიკური ბრძოლა სურთ ჩვენ პარტიაში შემოდითო. ცხადია, რომ ეროვნულ საკითხის გამო ოსმალეთს კიდევ ბევრი შავი დღე დაადგება, ბევრი შინაური განხეთქილება, ბევრი სისხლის ღვრა, — ეს განხეთქილება, ეს სისხლის ღვრა სამუდამოთ მოისპობა მაშინ, როდესაც სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა ეროვნებას თანასწორი უფლება მიენიჭება

კ.—

## საზღვარ გარეთ

ავსტრიაში ამ ბოლო დროს აღმოაჩინეს მთელი ორგანიზაცია, რომელიც იტალიისთვის ჯაშუშობას ეწეოდა.

— პარიზში შესდგა კომიტეტი, რომელმაც დაისახა მიზნათ კატალონიასა და ბარცელონაში დაჭერილ რევოლუციონერების დაცვას ყოველგვარ სისასტიკისაგან, რომელსაც მათ შესახებ იჩენს ახლა ისპანიის მთავრობა. ამის შესახები პროტესტი კომიტეტმა უკვე გამოსცა, პროტესტზე ხელი უწერიათ სხვათა შორის ანატოლ ფრანსს, მეტერლინკს, იტალიაში მცხოვრებს იტალიელ ანარქისტს ჩიპრიანს, სომხობის ცნობილ დამცველს გიიარს, მწერალ ქალს სევერინს, ცნობილ ანარქისტ მწერალს სებასტიან ფორს და პროფესორს ერნესტ ჰეკკელსაც.

— კემერუნში მაკასებთან კაციჭამიობა ახლაც არ მოსპობილა. იქ ადამიანს ისე უყურებენ, როგორც საკლავ საქონელს. იქ ადამიანს ისე ასუქებენ, როგორც ხარს და შეძლებული პირები, მოულოდნელად სტუმარი თუ ეწვიათ, უკლავენ მათ ვინმე კაცს ისე, როგორც ჩვენში სავახშმოდ ქათამს ან იხვის დაკვლა იციან.

## ახალი ამბები და დეპეშები

**კახეთის რკინის გზა.** ტფილისში ჩამოვიდა ინჟ. ადრიანოვი, რომელსაც ტფ. თავად-აზნაურობამ მიანდო კახეთის რკინის გზის უკანასკნელ ადგილობრივ გამოკვლევის დასრულება. მკითხველებმა ალბად იციან, რომ სამინისტრომ ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზაზე უნდა იკისროს შემოსავლის გარანტია, განიერ ლიანდაგიან გზაზე კი ასეთ გარანტიას იკისრებს, თუ გზა 12 მილიონ მანეთზე მეტი არ დაჯდა. ხარჯთ-აღრიცხვით კი იგი 14 მილ. ჯდებოდა. ახალმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ გზის შემოკლება შეიძლება 20—24 ვერსით, რაიც ხარჯს ამცირებს თითქმის 2 მილიონით და ამნაირად ხარჯი სამინისტროსაგან მოთხოვნილზე მეტი არ გამოდის და სამინისტრო განიერ ლიანდაგიან გზაზე გარანტიის კისრებაზე უარს ვერ იტყვის. რკინის გზის გაყვანის დასაჩქარებლად საჭიროა ადგილობრივ მცხოვრებთა თანაგრძნობა, რაიც უნდა გამოიხატოს გზისთვის საჭირო მიწების გადაცემაში იმ პირობებით, რომელსაც საქმის მეთაურები შეიმუშავებენ.

✦ სოფ. მარტყოფში (ტფილ. მაზ.) მოკლეს იოსებ პარასტაშვილი.

✦ ბურცევი აცხადებს, აზეფი ახლა რუსეთში არისო და მეტად პასუხსაგებ თანამდებობას ასრულებსო.

✦ **პეტერბურგი.** ახალ განკარგულების ძალით პეტერბურგიდან უნდა გადაასახლონ ებრაელი ბებია ქალები და კბილის ექიმები.

✦ **მოსკოვი.** აქ ჩამოვიდა გრაფ ტოლსტოი, რომელმაც ჩერტკოვი უნდა ინახულოს.

✦ **ბაქო.** პასუხის გებაში-მისცეს მაძებარ პოლიციის უფროსი დურნიევი.

✦ **პეტერბურგი.** აქ ცნობა არ მოსულა იმის შესახებ, ვითომც შაჰს უარი ეთქვას რუსეთში წასვლაზე. ეს ცნობა მართალი თუ გამოდგა, რუსეთის და ინგლისის მთავრობა უარს იტყვიან მის მფარველობაზე.

✦ **პეტერბურგი.** სათათბიროს პირველ სხდომაზე უნდა შეიტანონ შეკითხვა ტოლმაჩოვის შესახებ.

✦ კრიტოსის სომხობა მართლმადიდებლობის მიღებას აპირებს. მათ რუსეთიდან ღვდლები მოუთხოვიათ.

✦ ერევნის ბლალოჩინებს სახელმწიფო საბჭოს წევრად დაუსახელებიათ ცნობილი პროპაგანდისტი მამა ი. ვოსტორგოვი.

✦ შაბათს ტფილისში სათავად-აზნაურო თეატრში ცნობილმა რევოლუციონერმა მოროზოვმა საჯარო ლექცია წაიკითხა. დაესწრო განსაკუთრებით ინტელიგენცია, რომელსაც ლექცია ვერაფრათ მოეწონა, თუმცა ლექტორი დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

✦ **ქართული წარმოდგენა.** ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ, როგორც უკვე ვწერდით, შეუდგა თეატრის საქმეს. ტრუპპა შედგენილია და სეზონი გაიხსნება 12 ამ თვეს.

✦ **ახალი გაზეთი.** პ. ა. გოთუამ გუბერნატორს თხოვნით მიმართა, ნება მისცეს ახალი რუსული გაზეთის გამოცემისა, რომელსაც უნდა ერქვას „ნოვაია რეჩ“.

✦ სოფ. გორკში, პრაკოვის მაზრაში გლეხებმა ექიმებს არ დააცალეს ხოლერიან ავადმყოფების წაყვანა.

✦ ხერსონში პასუხისგებაში მისცეს ექიმი, რომელმ ც ფეხმძიმე ქალთან დახმარებისთვის არ წავიდა.

## თეატრი

**ოპერეტები ქართულად.** ხუთშაბათს, 27 ავგისტოს ქართულ საზაფხულო თეატრში პ. პ. ფალიაშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იყო „რაინდი უშიშარი და გულმართალი“ და „მეჯლისი იტალიელებით“. ჩვენი არტისტები ოპერეტებში დიდს უნარს იჩენენ. ასე მწყობრად და დაკვირვებით, რომ დრამა-კომედიები მიდიოდეს, მათ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

შეიძლება ეს გამარჯვება დირიჟორის, ბ-ნ ფალიაშვილის ბრალი იყო, მაგრამ, მგონი, რომ არც არტისტები აკლებენ.

საუცხოვო იყო, ტასო აბაშიძე ორივე ოპერეტაში. მისი მომხიბლავი ბავშვური ხმა, ცქრიალა კოლორატურა, სასიამოვნო ფალცეტი და შნოიანი თამაში იზიდავდა მაყურებლებს.

ქალიშვილს არც მამა ჩამორჩება. როგორც ყოველთვის ვ. აბაშიძე ამ საღამოსაც დიდებული იყო ლაგირის და გრიფელის როლში.

კარგი იყო აგრეთვე ა. იმედაშვილი. ძლიერ მოხდენილი დიუნუა და კანიფასი იყო.

არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ბ. საფაროვი. ამ საღამოს მან თავის თავს გადააჭარბა, ძნელი სათქმელია, — ვინ ვისთვის არის შექმნილი: ბ. საფაროვი თევდორე მსახურის როლისთვის, — თუ როლი საფაროვისთვის? ასე, თუ ისე ამ საღამოს ბ. საფაროვმა დაგვაკმაყოფილა.

გვარიანი ტიპებია დანარჩენები: ქ-ნნი თამარაშვილისა, ნებიერიძისა, ბ-ნნი ავანი და ხაშმელი.

თუმცა თავის ბენეფისის დროს ბ-ნი ფალიაშვილი უქეიფოდ იყო, მაგრამ მაინც შესძლო და ჩინებულად ჩაატარა წარმოდგენა. ხალხი ბლომად დაესწრო მობენეფისეს მიართვეს რამდენიმე საჩუქრები და მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

ამავე დასმა გაიმეორა ეს ოპერეტები ხუთშაბათს, 3 სექტემბერს. შედარებით პირველთან ამ საღამოს უფრო უფერულად ჩაიარა.

---

**ვერის სახალხო აუდიტორია.** ორშაბათს, 31 ავგისტოს, ვერის სახალხო სცენის მოყვარეთაგან, არტისტ ი. ივანიძის დახმარებით წარმოდგენილი იყო „პატარა კახი“ საერთოთ პიესამ სუსტათ ჩაიარა. ვერ იყო კარგა განაწილებული როლები. ამასთანავე თითქმის არც ერთმა არ იცოდა როლი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ივანიძეს, მეტრეველს და გოგაშვილს) რაიც შთაბეჭდილებას ჰკარგავდა მსმენელზე. არ შეგვიძლიან კვლავ არ მოვაგონოთ წარმოდგენების მმართველთ, რომ სრულებით მეტია სახალხო თეატრში (ვითომდა „პუბლიკის“ მოსაწვევათ) ჟეტონებით დაჯილდოვება თუ ვინ უფრო ლამაზია, და ვინ კარგა უკრავს გიტარას. ან სხვა ამისთანა „საფლირტო“ მარგალიტები, წეს რიგზე ხომ... დაბახანაში ან ყავახანაში უფრო მეტი ზრდილობა და წესრიგია, ვინემ აქ იყო ამ საღამოს... ერთის მხრით თვითონ გამგეებიც არიან დამნაშავენი:

ჟეტონების დარიგების დროს ასტყდა ერთი ორომ-ტრიალი, ერთი იძახის: ეგ ლამაზი არ არის არ ეკუთვნის, მეორე დადის და ხალხს ეუბნება, — მე მომეცით ხმაო. მესამე: მე უფრო ლამაზი ვარო. მეოთხე: პუდრით არის გათხუპნილიო და სხვა. აქ ქალის დედა წამოხტა... და ერთს სილა გააწნა, როგორ თუ პუდრი აქვს წასმულიო, შეიქნა ერთი ბლარძუნი, გინება, ყვირილი, წივილი, ბუწუწებით თრევა... ბოლოს როგორც იყო სცენაზე გამოიყვანეს ქალი და ყველას მოეწონა... მართლა ბიჭო კარგის ყოფილაო და დააჯილდოვეს ოქროს ჟეტონით. ამისთანა ამბები ხდება ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში.

**გატეხილი სკამი.**

---

რედაქტორ-გამომცემელი **კ. ხერხეულიძე**

## განცხადებანი


✦ გამოვიდა ✦

დუტუ მეგრელის

ნაწერების პირველი წიგნი

**ლექსები**

წიგნი 262 გვერდია ჩვეულებრივ ფორმატისა.

ხელის მომწერნი მიიღებენ იმათგან, ვისთანაც ხელი მოაწერეს.

---

**მუქთად საკოსტიუმე**

საქონლების ნიმუშებს და პრეისკურანტს (60 გვ.), რომელშიაც მოთავსებულია მრავალი უკანასკნელ მოდების, საცვალის, ფეხსაცმელის და შინაურ მოწყობილების სურათი ვუგზავნი მსურველთ **უფასოდ!** მოიკითხეთ შემდეგ ადრესით: М. А. Бабушкинъ. Лодзь. მიწერ-მოწერა რუსულად და გერმანულად **№ 48326.**

№ 51. 3—2

---

**!უფრო იაფად არ შეიძლება!**

**2 მ. 75 კ.**

ვაგზავნი მაუდის ნაჭერს „ტრიუმფ“ 4 ნახევ. არშ. მთელი საკოსტიუმე კაცისთვის. დიდ სიიაფის მიუხედავათ, მატერია „ტრიუმფი“ შალის არის და არა ბამბის და საუკეთესო თვისებისა არის — მეტად გამძლეა, კარგი სახმარი და შნოიანია. ფერები: შავი, ლურჯი, მიხაკის ფერი და ზეთის ხილის ფერი. გასაგზავნი ხარჯი 55 კ. ვინც 3 ან მეტ ნაჭერს გამოიწერს გასაგზავნი ფული არ გადახდება: ადრესი: Зигмунту Розенталь гор. Лодзь. მიწერ-მოწერა რუსულად **№ 47934. № 877.**

---

ახლად გაიხსნა საწყობი

**გ უ რ ი ა**

გურული ნაწარმოებისა. იყიდება: ღომი, ფქვილი (სიმინდისა), ყველი — სურგუნი (გადაზელილი) თხილი და სხვა.

ადრესი: სალდათის ბაზარი — ყოფილი სემინარიის გვერდით **№ 6.**

3—2

---

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ახალი

**ჩ ა ნ გ ი**

წიგნი დიდი ზომისაა (500 გვერდი). დაკაზმულია ძვირფასი ყდით და ღირს მხოლოდ 1 მ. 30 კ. წიგნში მოთავსებულია სცენები, ლექსები, სასიმღეროდ საოხუნჯო კუპლეტები, დრამატიული თხზულებანი და სხ. ჩვენი საუკეთესო ძველ და ახალგაზდა მწერლებისა. წიგნს ჩართული აქვს ქართველ მწერლების და მსახიობების 60 სურათი. წიგნით მოვაჭრეებს %% დაეთმობათ. ვინც ფოსტით გამოიწერს და 1 მან. 30 კაპ. ფულათ ან მარკას გამოგზავნის მას გასაგზავნი ფული აღარ გადახდება.

**ადრესი:** Тифлисъ. т-во Сорапанъ. М. Гачечиладзе.

---

ЯAND PЯIX

1870 წ. პარიზი 1900 წ. 1882 წ.

1865 წ. 1896 წ.

დედამიწაზე საუკეთესო

**კალოშები**

სამ კუთხედით

1860. Т.Р.А.Р.М. С.ПЕТЕРБУРГЪ.

რუსეთ-ამერიკის სარეზინომანუფაქტურის ამხანაგობა

**ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ“**

**ს.-პეტერბურგში**

სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკ'რგისა.

**იყიდება ყველგან**


ელქტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვ კუნძული № 1. ტელეფონი № 539.